



სსიპ შოთა რუსთაველი ს
საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი

2.6 თებერვალი 20 24

ქ. თბილისი

გენერალური დირექტორის

ბრძანება № 11

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 30 აგვისტოს N179/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის, „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურის სპეციალისტის 2024 წლის 26 თებერვლის სამსახურებრივი ბარათის (N211322) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს 2024 წლის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსი (შემდგომში კონკურსი).
2. დამტკიცდეს კონკურსის პირობები ამ ბრძანების დანართი N1 -ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს კრებისითი ინფორმაცია სამეცნიერო კვლევითი პროექტისათვის ამ ბრძანების დანართი N2 -ის შესაბამისად;
4. დამტკიცდეს საპროექტო წინადადების ფორმა სამეცნიერო კვლევითი პროექტისათვის ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;
5. დამტკიცდეს პროფესიული ბიოგრაფიის (CV) ფორმა ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად;

6. დამტკიცდეს პროექტის გეგმა-გრაფიკის ფორმა სამეცნიერო კვლევითი პროექტისათვის ამ ბრძანების დანართი N5-ის შესაბამისად;
7. დამტკიცდეს პროექტის ბიუჯეტის ფორმა და ბიუჯეტის დასაბუთება სამეცნიერო კვლევითი პროექტისათვის ამ ბრძანების დანართი N6-ის შესაბამისად;
8. დამტკიცდეს თანადაფინანსების შესახებ ცნობის ფორმა ამ ბრძანების დანართი N7-ის შესაბამისად;
9. დამტკიცდეს თანხმობის წერილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენების შესახებ სამეცნიერო კვლევითი პროექტისათვის ამ ბრძანების დანართი N8-ის შესაბამისად;
10. დამტკიცდეს განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ სამეცნიერო კვლევითი პროექტისათვის ამ ბრძანების დანართი N9-ის შესაბამისად;
11. დამტკიცდეს ბიუჯეტის კლასიფიკატორი სამეცნიერო კვლევითი პროექტისათვის ამ ბრძანების დანართი N10-ის შესაბამისად;
12. დამტკიცდეს სამეცნიერო მიმართულებების კლასიფიკატორი ამ ბრძანების დანართი N11-ის შესაბამისად;
13. დამტკიცდეს კრებსითი ინფორმაცია საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებისათვის ამ ბრძანების დანართი N12 -ის შესაბამისად;
14. დამტკიცდეს საპროექტო წინადადების ფორმა საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებისათვის ამ ბრძანების დანართი N13-ის შესაბამისად;
15. დამტკიცდეს თანხმობის წერილი პროექტში მონაწილეობის შესახებ ამ ბრძანების დანართი N14-ის შესაბამისად;
16. დამტკიცდეს ბიუჯეტის კლასიფიკატორი საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებისათვის ამ ბრძანების დანართი N15-ის შესაბამისად;
17. დამტკიცდეს პროექტის გეგმა-გრაფიკის ფორმა საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებისათვის ამ ბრძანების დანართი N16-ის შესაბამისად;
18. დამტკიცდეს პროექტის ბიუჯეტის ფორმა და ბიუჯეტის დასაბუთება საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებისათვის ამ ბრძანების დანართი N17-ის შესაბამისად;
19. დამტკიცდეს განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებისათვის ამ ბრძანების დანართი N18-ის შესაბამისად;
20. დამტკიცდეს კონკურსში მონაწილე პროექტებისათვის დაფინანსების განაწილების წესი ამ ბრძანების დანართი N19-ის შესაბამისად;
21. კონკურსის კოორდინატორად განისაზღვროს სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში ფონდი) მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურის სპეციალისტი, ქეთევან გორგაძე;
22. კონკურსის კონსულტანტად პროექტის ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებულ საკითხებზე განისაზღვროს სამეცნიერო დეპარტამენტის სპეციალისტები - დოდო ტალახაძე;
23. დაევალოს ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე;
24. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
25. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64).

თეიმურაზ დოჭვირი

თ. დოჭვირი

2024 წლის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის (შემდგომში - კონკურსი) მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების (მისი განუყოფელი ნაწილის – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ცხინვალის რეგიონის (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიები)) შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტებისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების განხორციელებას.

კონკურსის მიზანია ხელი შეუწყოს:

ა) სამეცნიერო კვლევითი პროექტების შემთხვევაში:

ა.ა) საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქე/პირადობის ნეიტრალური მოწმობის/ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე მეცნიერთა ჩართულობით ერთობლივი კვლევების წახალისებას;

ა.ბ) ახალი ცოდნის შექმნას, ახალი იდეებისა და კონცეფციების, მოვლენებისა და ფაქტების, თეორიებისა და მოდელების თეორიულ და ექსპერიმენტულ შესწავლა-ანალიზს, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში ხელს შეუწყობს ქვეყანაში სოციალურ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ, საზოგადოებრივ, კულტურულ და საინფორმაციო-ტექნოლოგიურ პროგრესს;

ა.გ) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შემსწავლელი კვლევების განვითარებასა და საერთაშორისო სტანდარტებით განხორციელებული კვლევების შედეგების გავრცელებას (დისემინაციას).

ბ) საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის შემთხვევაში:

ბ.ა) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შემსწავლელი კვლევების, მაღალი რანგის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების, სეზონური სკოლების, კონგრესების, ფორუმებისა და სიმპოზიუმების ჩატარებას ფართო საზოგადოების ჩართულობით, სამეცნიერო კვლევების პოპულარიზაციასა და საერთაშორისო სამეცნიერო ასპარეზზე წარდგენას;

ბ.ბ) სხვადასხვა თაობისა და სხვადასხვა კვლევითი ცენტრების მკვლევართა შორის გამოცდილების გაზიარებას;

ბ.გ) ინფორმაციის გაცვლისა და გამოცდილების გაზიარების შედეგად, ადგილობრივი სამეცნიერო პოტენციალის გაძლიერებას;

ბ.დ) საერთაშორისო თანამშრომლობის წახალისებას;

ბ.ე) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შემსწავლელ მეცნიერებებში ახალგაზრდა კადრების მოზიდვას;

ბ.ვ) სამეცნიერო შრომების საერთაშორისო ჟურნალებსა და სამეცნიერო კრებულებში დაბეჭდვის შესაძლებლობის გაზრდას.

2. საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსება გაიცემა ორ ლოტში:

ა) პირველი ლოტი - საქართველოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ცხინვალის რეგიონის (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიები) შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების განხორციელება;

ბ) მეორე ლოტი - საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზება:

- სეზონური სკოლები
- კონფერენციები

- კონგრესები
- ფორუმები
- სიმპოზიუმები

3. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსში პროექტის წარდგენა შესაძლებელია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 30 აგვისტოს №179/ნ ბრძანების პირველი მუხლის მე-6 პუნქტში აღნიშნული სამეცნიერო მიმართულებების შესაბამისად. ამ მიმართულებებს კონკურსის სამეცნიერო მიმართულებების კლასიფიკატორის მიხედვით მიენიჭა შემდეგი კოდები:

1. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
2. ინჟინერია და ტექნოლოგიები;
3. სამედიცინო და ჯანმრთელობის მეცნიერებები;
4. აგრარული მეცნიერებები;
5. სოციალური მეცნიერებები;
6. ჰუმანიტარული მეცნიერებები;

4. კონკურსი ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან და მის ადმინისტრირებას ახორციელებს ფონდი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 30 აგვისტოს №179/ნ ბრძანებითა და წინამდებარე ბრძანებით დადგენილი წესების შესაბამისად. კონკურსის დაფინანსებისათვის შესაძლებელია, არსებობის შემთხვევაში, გამოყენებულ იქნეს დაფინანსების სხვა წყარო.

5. სამეცნიერო კვლევითი პროექტის გრანტის მიმღები ვალდებულია, პროექტით გათვალისწინებული კვლევის მასალებზე დაყრდნობით, გამოაქვეყნოს პუბლიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე.

მუხლი 2. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების საგრანტო კონკურსი - I ლოტი

1. სუბიექტები და მონაწილეობის პირობები

ა) სამეცნიერო კვლევითი პროექტების გრანტის მოსაპოვებლად, კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ: წამყვან ორგანიზაციას; თანამონაწილე ორგანიზაციას (ერთობლივი პროექტის შემთხვევაში); პროექტის ძირითად პერსონალს.

ბ) პროექტს აუცილებლად უნდა ჰქონდეს წამყვანი ორგანიზაცია – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, საქართველოში რეგისტრირებული კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომლის წესდებით/დებულებით განსაზღვრული მიზანია სამეცნიერო კვლევების განხორციელება, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. წამყვანი ორგანიზაცია უზრუნველყოფს პროექტის ხელმძღვანელსა და სხვა ძირითად პერსონალს პროექტით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ახორციელებს პროექტის განხორციელების ანგარიშგებას გრანტის გამცემის მიერ დამტკიცებული ფორმებისა და წესის შესაბამისად, ასრულებს საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა ვალდებულებებს; პასუხისმგებელია პროექტის განხორციელებაზე.

გ) პროექტს შეიძლება ჰყავდეს თანამონაწილე ორგანიზაცია (ერთობლივი პროექტის შემთხვევაში) – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, საქართველოში რეგისტრირებული კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომლის წესდებით/დებულებით განსაზღვრული მიზანია სამეცნიერო კვლევების განხორციელება, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. თანამონაწილე ორგანიზაცია წამყვან ორგანიზაციასთან ერთად უზრუნველყოფს პროექტის ხელმძღვანელს, თანახელმძღვანელს, პროექტის სხვა ძირითად პერსონალსა და დამხმარე პერსონალს პროექტით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით და ასრულებს საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა ვალდებულებებს; თანამონაწილე ორგანიზაცია შეიძლება იყოს, აგრეთვე, საზღვარგარეთ

რეგისტრირებული იურიდიული პირი, რომელიც მონაწილეობს პროექტის გარკვეული ამოცანების შესრულებაში, თუმცა ის ვერ იქნება გრანტის მიმღები.

დ) პროექტს უნდა ჰყავდეს ძირითადი პერსონალი – დოქტორანტურის, მაგისტრატურის ან რეზიდენტურის სტუდენტი, დოქტორი, მაგისტრი ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე ფიზიკური პირი/პირები, რომლებიც ასრულებენ პროექტით დაგეგმილ ძირითად ამოცანებს. პროექტში, ძირითადი პერსონალის სტატუსით, შესაძლებელია ჩართული იყოს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონში (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიები) მცხოვრები საქართველოს მოქალაქე/პირადობის ნეიტრალური მოწმობის/ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე მეცნიერი.

ე) პროექტს უნდა ჰყავდეს პროექტის ხელმძღვანელი – დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქე, პროექტის ძირითადი პერსონალიდან, რომელიც პროექტს განახორციელებს წამყვან ორგანიზაციაში, კოორდინაციას უწევს პროექტის შედგენას და პასუხისმგებელია როგორც პროექტის სამეცნიერო შედეგებზე, ასევე პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის ანგარიშგებაზე; პროექტის მიმდინარეობის პერიოდში პროექტის ხელმძღვანელმა კვლევითი პროექტი უნდა განახორციელოს წამყვანი ორგანიზაციის სახელით და მისი ბაზის გამოყენებით.

ვ) პროექტს შეიძლება ჰყავდეს პროექტის თანახელმძღვანელი – ერთობლივი სამეცნიერო კვლევითი პროექტის შემთხვევაში პროექტს აუცილებლად უნდა ჰყავდეს პროექტის თანახელმძღვანელი – საქართველოს ან/და უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელიც თანამონაწილე ორგანიზაციის წარმომადგენელია და კოორდინაციას უწევს პროექტის მომზადებასა და განხორციელებას პროექტის ხელმძღვანელთან ერთად.

ზ) პროექტს უნდა ჰყავდეს პროექტის კოორდინატორი – საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი პროექტის ძირითადი პერსონალიდან, რომელიც ჩართულია პროექტის მართვასა და ადმინისტრირებაში, პასუხისმგებელია საორგანიზაციო საკითხებზე და არის საკონტაქტო პირი ფონდთან.

თ) პროექტის ხელმძღვანელი და პროექტის კოორდინატორი არ შეიძლება იყოს ერთი და იგივე პირი.

ი) პროექტში ჩართული უნდა იყოს ახალგაზრდა მეცნიერ(ებ)ი (არანაკლებ ერთი) – მაგისტრი, დოქტორი ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომლის აკადემიური ხარისხის მინიჭების დღიდან კონკურსის გამოცხადების დღემდე გასულია არაუმეტეს 7 წელი. ასევე, მაგისტრატურის, რეზიდენტურის, დოქტორანტურის სტუდენტი. სამეცნიერო კვლევითი პროექტის ძირითადი პერსონალში პროექტის განხორციელების მთლიანი პერიოდის განმავლობაში ჩართული უნდა იყოს არანაკლებ ერთი ახალგაზრდა მეცნიერი.

კ) პროექტს შეიძლება ჰყავდეს დამხმარე პერსონალი – ფიზიკური პირი, რომელიც ეხმარება ძირითად პერსონალს ტექნიკური ამოცანების გადაჭრაში. დაუმეგებელია ერთი და იგივე პირი იყოს დამხმარე და ძირითადი პერსონალი.

ლ) პროექტს შეიძლება ჰყავდეს თანადამფინანსებელი – საქართველოში ან საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც აფინანსებს პროექტის ბიუჯეტით განსაზღვრული ხარჯების ნაწილს.

მ) პროექტის განსახორციელებლად საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს დამატებით სხვა იურიდიული ან ფიზიკური პირის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (გარდა წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციისა).

2. პროექტის დაფინანსება და ბიუჯეტი

ა) საკონკურსოდ წარდგენილი პროექტის ხანგრძლივობა უნდა იყოს 12 თვე.

ბ) სამეცნიერო კვლევითი პროექტისათვის ფონდიდან მოთხოვნილი დაფინანსება არ უნდა აღარბეჭდეს 60 000 ლარს.

გ) პროექტის ბიუჯეტში საგრანტო დაფინანსება შესაძლებელია ითვალისწინებდეს შემდეგ მუხლებს/ხარჯვით კატეგორიებს:

1. ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება;
2. დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება;
3. მივლინება;
4. საქონელი და მომსახურება;
5. არაფინანსური აქტივები;
6. ზედნადები ხარჯები;

დ) ამ მუხლის მე-2 პუნქტის "გ" ქვეპუნქტში მითითებული ხარჯვითი კატეგორიები განიმარტება ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის კლასიფიკატორით.

ე) დაუშვებელია „საქონელი და მომსახურების“ მუხლიდან შრომის ანაზღაურების გაცემა.

ვ) ზედნადები ხარჯები - წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციების ბაზაზე პროექტით დაგეგმილი ამოცანების განხორციელებისათვის აუცილებელი არაპირდაპირი ხარჯების საერთო მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ფონდიდან მოთხოვნილი დაფინანსების 5%-ს. გრანტის მიმღები წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაცია უფლებამოსილია „ზედნადები ხარჯების“ კატეგორიით გათვალისწინებული თანხა გამოიყენოს გრანტის ტექნიკური ადმინისტრირებისა და შიდა მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი დაფინანსებისათვის. გრანტის მიმღებისთვის, გრანტის ჩარიცხვის ფაქტის დადასტურებით (სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემაში შესრულებული გადარიცხვა), გრანტის გამცემისთვის ზედნადები ხარჯები აღიარდება ხარჯად, ფონდის მიერ განხორციელებული ფინანსური მონიტორინგის ფარგლებში.

ზ) პროექტის ბიუჯეტი ითვალისწინებს პროექტით გათვალისწინებული კვლევის მასალებზე დაყრდნობით, პუბლიკაციის გამოქვეყნებას ქართულ და ინგლისურ ენაზე.

თ) პროექტს შესაძლოა ჰქონდეს თანადაფინანსება – დამატებითი ფინანსური მხარდაჭერა. სამეცნიერო კვლევითი პროექტი შესაძლოა ითვალისწინებდეს უცხოური სამეცნიერო ფონდებიდან ან სხვა დონორი ორგანიზაციებიდან დამატებითი თანხის მოზიდვას. თანადაფინანსებად არ განიხილება ფონდის მიერ გაცემული ნებისმიერი სხვა გრანტი.

ი) ფონდი არ ანაზღაურებს პროექტის მომზადებისა და წარდგენისათვის გაწეულ ხარჯებს.

კ) გრანტის სახსრებით დაუშვებელია უძრავი ქონების შეძენა/იჯარა, კაპიტალური რემონტი/შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქცია, ავტომანქანისა და მობილური ტელეფონის შეძენა.

ლ) გრანტის სახსრებით შეძენილი ქონება პროექტის დასრულების შემდეგ საკუთრებაში რჩება გრანტის მიმღებ წამყვან/თანამონაწილე ორგანიზაციას ან/და ფიზიკურ პირს/პირთა ჯგუფს, მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

3. საკონკურსო დოკუმენტაცია

1. საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის პროექტის ხელმძღვანელმა გრანტების მართვის ერთიან სისტემაში GMUS-ში [Grants Management Unified System] ელექტრონულად უნდა დაარეგისტრიროს პროექტი, რომელიც შედგება შემდეგი დოკუმენტებისგან:

ა) კრებსითი ინფორმაცია პროექტის შესახებ (ივსება GMUS-ში პროექტის რეგისტრაციის დროს);

ბ) საპროექტო წინადადება (იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის სახით);

გ) პროექტის ძირითადი პერსონალის პროფესიული ბიოგრაფიები - პროექტის ძირითადი პერსონალი ინდივიდუალურად რეგისტრირდება GMUS-ში, მათ მიერ შექმნილი პროფილიდან გენერირდება, ექსპორტირდება CV და იტვირთება PDF დოკუმენტის სახით პროექტის GMUS-ში რეგისტრაციისას;

დ) პროექტში ჩართულ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ მეცნიერთათვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) - საქართველოს მოქალაქე/პირადობის ნეიტრალური მოწმობის/ნეიტრალური სამეზავრო დოკუმენტის ასლის PDF ვერსია, იტვირთება GMUS-ში რეგისტრაციისას;

ე) პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი (ივსება GMUS-ში);

ვ) პროექტის ბიუჯეტი და ბიუჯეტის დასაბუთება (ივსება GMUS-ში);

ზ) ცნობა თანადაფინანსების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარმოდგენილი უნდა იყოს იურიდიული პირის, ან ფიზიკური პირის მიერ დადასტურებული და სავალდებულოა ცნობაში მითითებული იყოს თანადაფინანსების თანხა და მიზნობრიობა.

ზ.ა) იურიდიული პირის მხრიდან თანადაფინანსების შემთხვევაში ცნობა თანადაფინანსების შესახებ წარმოდგენილი უნდა იყოს ორგანიზაციის ოფიციალურ ბლანკზე ან ფონდის მიერ დამტკიცებული ფორმით ფორმით, დამოწმებული თანადაფინანსებელი ორგანიზაციის უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ორგანიზაციის ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). (იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის სახით). თუ დოკუმენტის ორიგინალი გაცემულია უცხო ენაზე, აუცილებელია მისი ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ;

ზ.ბ) ფიზიკური პირის მხრიდან თანადაფინანსების შემთხვევაში ცნობა თანადაფინანსების შესახებ წარმოდგენილი უნდა იყოს ფონდის მიერ დამტკიცებული ფორმით, დამოწმებული თანადაფინანსებელი ფიზიკური პირის ხელმოწერით (იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის სახით). თუ დოკუმენტის ორიგინალი გაცემულია უცხო ენაზე, აუცილებელია მისი ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ.

თ) საზღვარგარეთ რეგისტრირებული თანამონაწილე ორგანიზაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პროექტში თანამონაწილეობის თანხმობის წერილი (Letter of Institutional Commitment). თანხმობის წერილი წარმოდგენილი უნდა იყოს ინგლისურ ენაზე ორგანიზაციის ოფიციალურ სატიტულო ფურცელზე, დადასტურებული შესაბამისი პასუხისმგებელი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ნათარგმნი ქართულად და დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ (იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის სახით);

ი) თანხმობის წერილი სხვა იურიდიული/ფიზიკური პირის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) - გარდა წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციისა. წერილი წარმოდგენილი უნდა იყოს ორგანიზაციის ოფიციალურ ბლანკზე ან ფონდის მიერ დამტკიცებული ფორმით, დამოწმებული უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ორგანიზაციის ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). (იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის სახით). თუ დოკუმენტის ორიგინალი გაცემულია უცხო ენაზე, აუცილებელია მისი ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ;

2. საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის ფონდის კანცელარიაში კონკურსანტებმა უნდა წარმოადგინონ:

ა) პროექტის წარმომდგენი იურიდიული და ფიზიკური პირების ერთობლივი „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ“ (გენერირდება GMUS-ით) დამოწმებული შესაბამისი ხელმოწერებითა და ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ბ) განცხადებაზე უცხოეთის მოქალაქე ძირითადი პერსონალის ხელმოწერის არ არსებობის შემთხვევაში საჭიროა, განცხადებას თან ერთვოდეს აღნიშნული პირის თანხმობის წერილი, ორიგინალი ხელმოწერილი და მისი ქართული თარგმანი თარჯიმანთა ბიუროს მიერ დამოწმებული. თანხმობის წერილით უნდა დასტურდებოდეს, რომ იგი გაცენო კონკურსის პირობებს და თანახმაა კონკურსში მონაწილეობაზე;

3. საკონკურსო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ამ ბრძანებით დამტკიცებული წესების, ფორმებისა და ვადების დაცვით.

4. პროექტის სრულყოფილად წარმოდგენაზე პასუხისმგებელია პროექტის ხელმძღვანელი.

5. ფონდი უფლებამოსილია გამოითხოვოს კონკურსში მონაწილე პირებისაგან დამატებითი ინფორმაცია.

4. დამატებითი მოთხოვნები გრანტის მიმღებთა მიმართ

ა) გრანტის მიმღები ვალდებულია, პროექტით გათვალისწინებული კვლევის მასალებზე დაყრდნობით, გამოაქვეყნოს პუბლიკაცია (სასურველია მონოგრაფია) ქართულ და ინგლისურ ენაზე.

ბ) პროექტის განხორციელების შედეგების ამსახველი სტატია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოქვეყნებული უნდა იყოს იმ ჟურნალებში, წიგნებსა და კრებულებში, რომლებიც ხილვადია შემდეგ სამეცნიერო ბაზებში: Scimago Journal Ranking, Elsevier (Scopus და ScienceDirect), Web of Science, ERIH plus. ან წარმოადგინოს ცნობა სტატიის გამოსაქვეყნებლად მიღების შესახებ.

გ) პროექტის განხორციელების შედეგად მიღებული შედეგების ამსახველი მონოგრაფია დამტკიცებული უნდა იყოს წამყვანი ორგანიზაციის დარგობრივი სარედაქციო/საგამომცემლო/სამეცნიერო/აკადემიური საბჭოს, ან მასთან გათანაბრებული სტრუქტურის მიერ.

დ) საგრანტო პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევის შედეგების ამსახველ პუბლიკაციებში (სტატია, მონოგრაფია და ა.შ.) სავალდებულოა მითითებული იყოს, რომ კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტის ნომერი ...]“ / „This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) [grant number ...]“. იმ შემთხვევაში, თუ გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში არ იქნება ასახული ზემოაღნიშნული ინფორმაცია, წარმოდგენილი დოკუმენტი არ განიხილება ფონდის მიერ პროგრამული მონიტორინგის განხორციელებისას. ერთ სტატიაზე შესაძლებელია მითითებული იყოს ფონდის მიერ გაცემული მხოლოდ ერთი გრანტის ნომერი.

ე) საგრანტო პროექტის ფარგლებში შექმნილ ვიზუალურ პროდუქციაზე (ნაბეჭდ, ფოტო, აუდიო, ვიდეო, ელექტრონულ პროდუქციაზე და ვებგვერდზე) სავალდებულოა განთავსდეს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ლოგო და მითითებული იყოს, რომ საგრანტო პროექტი განხორციელდა “შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით”.

ვ) ფონდი უფლებამოსილია გრანტის მიმღებთა მიერ წარდგენილი პროექტის აბსტრაქტი, პროგრამული ანგარიშები და ბეჭდვითი ან/და ვიზუალური მასალები გამოიყენოს საკუთარი საქმიანობის ანგარიშში, ბეჭდვით და ელექტრონულ გამოცემებში, განათავსოს ფონდის ვებგვერდებზე.

ზ) გრანტის მიმღები ვალდებულია უზრუნველყოს გრანტის სახსრებით გამოცემული თითოეული ნაბეჭდი ერთეულისთვის საერთაშორისო სტანდარტული ნორმების (ISBN, ISSN) მინიჭება, გამოცემული ნაბეჭდი ერთეულების 1/3-ის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების ბიბლიოთეკებში გავრცელება და გრანტის გამცემისთვის 5-5 ეგზემპლარის გადაცემა.

მუხლი 3. საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების გრანტის პირობები - II ლოტი საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებები

1. საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიება

ა) საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიების გრანტი გულისხმობს საქართველოში საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზებას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების (მისი განუყოფელი ნაწილის – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ცხინვალის რეგიონის (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიები) შემსწავლელ თემატიკაზე სეზონური სკოლების, კონფერენციების, კონგრესების, ფორუმებისა და სიმპოზიუმების სახით.

ბ) ამ ლოტისათვის წარმოდგენილ პროექტში ჩართული უნდა იყოს უცხო ქვეყნის მოქალაქე, ან უცხოეთში მოღვაწე საქართველოს მოქალაქე აკადემიური ან სამეცნიერო თანამდებობის მქონე პირ(ებ)ი, რომელიც:

- კონფერენციის, კონგრესის, ფორუმებისა და სიმპოზიუმების შემთხვევაში, წარმოდგენილი უნდა იყოს ძირითადი ან პლენარული მომხსენებლ(ებ)ის სტატუსით;

- სეზონური სკოლების შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იყოს მოწვეული ლექტორ(ებ)ის სტატუსით;

2. სუბიექტები და მონაწილეობის პირობები

ა) საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიების ორგანიზებისათვის გაიცემა მხოლოდ ინსტიტუციური გრანტი. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ: წამყვან ორგანიზაციას; თანამონაწილე ორგანიზაციას (ერთობლივი პროექტის შემთხვევაში); პროექტის ძირითად პერსონალს.

ბ) პროექტს უნდა ჰქონდეს წამყვანი ორგანიზაცია – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, საქართველოში რეგისტრირებული კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომლის წესდებით/დებულებით

განსაზღვრული მიზანია სამეცნიერო კვლევების განხორციელება, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. წამყვანი ორგანიზაცია უზრუნველყოფს პროექტის ხელმძღვანელსა და სხვა ძირითად პერსონალს პროექტით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ახორციელებს პროექტის განხორციელების ანგარიშგებას გრანტის გამცემის მიერ დამტკიცებული ფორმებისა და წესის შესაბამისად, ასრულებს საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა ვალდებულებებს; პასუხისმგებელია პროექტის განხორციელებაზე.

გ) პროექტს შეიძლება ჰქონდეს **თანამონაწილე ორგანიზაცია** – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიულ პირი, საქართველოში რეგისტრირებული კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირი, რომლის წესდებით/დებულებით განსაზღვრული მიზანია სამეცნიერო კვლევების განხორციელება, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. თანამონაწილე ორგანიზაცია წამყვან ორგანიზაციასთან ერთად უზრუნველყოფს პროექტის ხელმძღვანელს, თანახელმძღვანელს, პროექტის სხვა ძირითად პერსონალსა და დამხმარე პერსონალს პროექტით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით და ასრულებს საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა ვალდებულებებს; თანამონაწილე ორგანიზაცია შეიძლება იყოს საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირი, რომელიც მონაწილეობს პროექტის გარკვეული ამოცანების შესრულებაში, **თუმცა ის ვერ იქნება გრანტის მიმღები.**

დ) პროექტს უნდა ჰყავდეს ძირითადი პერსონალი, დოქტორანტურის, მაგისტრატურის ან რეზიდენტურის სტუდენტი, დოქტორი, მაგისტრი ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე ფიზიკური პირი/პირები, რომლებიც ასრულებენ პროექტით დაგეგმილ ძირითად ამოცანებს: პროექტის ხელმძღვანელი, კოორდინატორი, თანახელმძღვანელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), აგრეთვე საქართველოს ან/და უცხო ქვეყნის მოქალაქე ფიზიკური პირები, რომლებიც ასრულებენ პროექტით დაგეგმილ ძირითად ამოცანებს; სეზონური სკოლების, კონფერენციების, კონგრესების, ფორუმებისა და სიმპოზიუმების შემთხვევაში, ძირითად პერსონალს შეიძლება აგრეთვე წარმოადგენდნენ ამ დონისძიებათა სამეცნიერო კომიტეტისა და საორგანიზაციო კომიტეტის წევრები (ასეთის არსებობის შემთხვევაში). დაუშვებელია პროექტის ხელმძღვანელისა და პროექტის კოორდინატორის სტატუსს ატარებდეს ერთი და იგივე პიროვნება.

1. **პროექტის ხელმძღვანელი** - დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქე პროექტის ძირითადი პერსონალიდან, რომელიც პროექტს განხორციელებს წამყვან ორგანიზაციაში, კოორდინაციას უწევს პროექტის შედგენას და პასუხისმგებელია როგორც პროექტის სამეცნიერო შედეგებზე, ასევე პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის ანგარიშგებაზე;

2. **პროექტის კოორდინატორი** - საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი პროექტის ძირითადი პერსონალიდან, რომელიც ჩართულია პროექტის მართვასა და ადმინისტრირებაში, პასუხისმგებელია საორგანიზაციო საკითხებზე და არის საკონტაქტო პირი ფონდთან.

3. **პროექტის თანახელმძღვანელი** - ერთობლივი პროექტის შემთხვევაში პროექტს აუცილებლად უნდა ჰყავდეს თანახელმძღვანელი - საქართველოს ან/და უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელიც თანამონაწილე ორგანიზაციის წარმომადგენელია და კოორდინაციას უწევს პროექტის მომზადებასა და განხორციელებას პროექტის ხელმძღვანელთან ერთად;

4. პროექტში, ძირითადი პერსონალის სტატუსით, შესაძლებელია ჩართული იყოს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონში (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიები) მცხოვრები საქართველოს მოქალაქე/პირადობის ნეიტრალური მოწმობის/ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე მეცნიერ(ებ)ი.

4. **სამეცნიერო კომიტეტის წევრი** შეიძლება იყოს საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქე, დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხისა და აკადემიური ან სამეცნიერო თანამდებობის მქონე პირი, რომელიც პასუხისმგებელია პროექტით გათვალისწინებული დონისძიების სამეცნიერო შინაარსზე;

5. **საორგანიზაციო კომიტეტის წევრი** შეიძლება იყოს საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქე, დოქტორი, მაგისტრი, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, დოქტორანტურის, მაგისტრატურის, რეზიდენტურის სტუდენტი, რომელიც მონაწილეობს პროექტის ორგანიზებაში.

ე) პროექტში შეიძლება დამხმარე პერსონალის სტატუსით ჩართული იყვნენ პირები, რომლებიც ეხმარებიან ძირითად პერსონალს ტექნიკური ამოცანების გადაჭრაში. **დაუშვებელია ერთი და იგივე პირი იყოს დამხმარე და ძირითადი პერსონალი.**

3. დაფინანსების პირობები და ბიუჯეტი

ა) საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების პროექტი უნდა დასრულდეს არაუგვიანეს 2025 წლისა.

ბ) პროექტისათვის ფონდიდან მოთხოვნილი საგრანტო დაფინანსება უნდა შეესაბამებოდეს პროექტით გათვალისწინებული ღონისძიების ტიპს შემდეგი სქემის შესაბამისად:

საერთაშორისო ღონისძიება	სამეცნიერო	ფონდიდან მოთხოვნილი თანხის მაქსიმალური ოდენობა
სეზონური სკოლა		30 000 ლარი
კონფერენცია		40 000 ლარი
კონგრესი		40 000 ლარი
ფორუმი		40 000 ლარი
სიმპოზიუმი		40 000 ლარი

გ) ფონდიდან მოთხოვნილი თანხა შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ხარჯვით კატეგორიებს:

1. ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსებას;
2. დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურებას;
3. საქონელსა და მომსახურებას;
4. ზედნადებ ხარჯებს.

დ) ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება და დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება ჯამში არ უნდა აღემატებოდეს ფონდიდან მოთხოვნილი თანხის 35%-ს.

ე) ზედნადები ხარჯების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ფონდიდან მოთხოვნილი თანხის 5%-ს. გრანტის მიმღებისთვის, გრანტის ჩარიცხვის ფაქტის დადასტურებით (სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემაში შესრულებული გადარიცხვა), გრანტის გამცემისთვის ზედნადები ხარჯები სრულად აღიარდება ხარჯად, ფონდის მიერ განხორციელებული ფინანსური მონიტორინგის ფარგლებში.

ვ) ბიუჯეტის ხარჯვითი კატეგორიები დეტალურად განიმარტება ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული კლასიფიკატორით.

ზ) დაუშვებელია „საქონელი და მომსახურების“ მუხლიდან შრომის ანაზღაურების გაცემა.

თ) პროექტი შესაძლებელია ითვალისწინებდეს თანადაფინანსებას (დამატებით ფინანსურ წყაროს), რაც პროექტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების ნაწილობრივ დაფარვას გულისხმობს. თანადაფინანსებად არ განიხილება ფონდის მიერ გაცემული ნებისმიერი სხვა გრანტი.

ი) კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში გრანტის მიმღებს ავანსად გადაერიცხება პროექტის ბიუჯეტის ნაწილი (პროექტის ბიუჯეტის ფონდიდან მოთხოვნილი თანხა გარდა ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსებისა და დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურების 25%-სა). საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება ფინანსური და პროგრამული ანგარიშების ფონდში წარდგენისა და ფონდის მიერ ანგარიშების განხილვის აქტის შედგენის საფუძველზე.

კ) გრანტის სახსრებით დაუშვებელია უძრავი ქონების შეძენა/იჯარა, კაპიტალური რემონტი/შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქცია, ავტომანქანისა და მობილური ტელეფონის შეძენა.

ლ) გრანტის სახსრებით შეძენილი ქონება პროექტის დასრულების შემდეგ საკუთრებაში რჩება გრანტის მიმღებ წამყვან/თანამონაწილე ორგანიზაციას ან/და ფიზიკურ პირს/პირთა ჯგუფს, მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

4. საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენა

ა) საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის პროექტის ხელმძღვანელმა გრანტების მართვის ერთიან სისტემაში GMUS-ში [Grants Management Unified System] ელექტრონულად უნდა დაარეგისტრიროს პროექტი, რომელიც შედგება შემდეგი დოკუმენტებისგან:

1. კრებსითი ინფორმაცია პროექტის შესახებ (ივსება გრანტების მართვის ერთიან სისტემაში GMUS-ში [Grants Management Unified System] პროექტის რეგისტრაციის დროს);

2. საპროექტო წინადადება (იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის სახით);

3. პროფესიული ბიოგრაფიები - ფიზიკური პირები - პროექტის ძირითადი პერსონალი (მათ შორის პლენარული მომხსენებლები და ლექტორები, თუ ისინი, ამავედროულად, ატარებენ ძირითადი პერსონალის სტატუსს) - ინდივიდუალურად რეგისტრირდება GMUS-ში. მათ მიერ შექმნილი პროფილიდან იქმნება პროფესიული ბიოგრაფიები, რომლებიც იტვირთება GMUS-ში PDF დოკუმენტების სახით პროექტის წარდგენისას. ძირითადი და პლენარული მომხსენებლები/მოწვეული ლექტორები, თუ ისინი, ამავედროულად, არ ატარებენ ძირითადი პერსონალის სტატუსს, არ რეგისტრირდებიან GMUS-ში და მათგან მოითხოვება CV-ის სტანდარტული ფორმა ქართულ ენაზე PDF დოკუმენტების სახით.

4. პროექტში ჩართულ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ მეცნიერთათვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) - საქართველოს მოქალაქე/პირადობის ნეიტრალური მოწმობის/ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის ასლის PDF ვერსია, იტვირთება GMUS-ში რეგისტრაციისას.

5. პროექტში ჩართული ძირითადი და პლენარული მომხსენებლების, მოწვეული ლექტორების (თუ ისინი ამავედროულად არ წარმოადგენენ ძირითად პერსონალს) თანხმობის წერილი პროექტში მონაწილეობაზე ფონდის მიერ დამტკიცებული ფორმით. უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში თანხმობის წერილი წარმოდგენილი უნდა იყოს უნდა ქართულად ნათარგმნი და დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ (იტვირთება GMUS-ში PDF დოკუმენტის სახით).

6. პროექტში ძირითადი ან პლენარული მომხსენებლის/მოწვეული ლექტორის სტატუსით ჩართული პირის აკადემიური ან სამეცნიერო თანამდებობის დამადასტურებელი ცნობა (გაცემული შესაბამისი ორგანიზაციის მიერ ოფიციალურ სატიტულო ფურცელზე, დადასტურებული შესაბამისი პასუხისმგებელი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), თუ დოკუმენტის ორიგინალი გაცემულია უცხო ენაზე, აუცილებელია მისი ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ; იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის სახით) ან მისი აკადემიური ან სამეცნიერო თანამდებობა უნდა დასტურდებოდეს იმ ინსტიტუციის ოფიციალური ვებგვერდით რომელშიც ის მოღვაწეობს.

7. პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი (ივსება GMUS-ში);

8. პროექტის განხორციელების ბიუჯეტი და ბიუჯეტის დასაბუთება (ივსება GMUS-ში);

9. საზღვარგარეთ რეგისტრირებული თანამონაწილე ორგანიზაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პროექტში თანამონაწილეობის თანხმობის წერილი (Letter of Institutional Commitment). თანხმობის წერილი წარმოდგენილი უნდა იყოს ინგლისურ ენაზე ორგანიზაციის ოფიციალურ სატიტულო ფურცელზე, დადასტურებული შესაბამისი პასუხისმგებელი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ნათარგმნი ქართულად და დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ (იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის სახით);

10. ცნობა თანადაფინანსების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარმოდგენილი უნდა იყოს იურიდიული პირის ან ფიზიკური პირის მიერ დადასტურებული და სავალდებულოა ცნობაში მითითებული იყოს თანადაფინანსების თანხა და მიზნობრიობა.

1) იურიდიული პირის მხრიდან თანადაფინანსების შემთხვევაში ცნობა თანადაფინანსების შესახებ წარმოდგენილი უნდა იყოს ორგანიზაციის ოფიციალურ ბლანკზე ან ფონდის მიერ დამტკიცებული ფორმით, დამოწმებული თანადაფინანსებელი ორგანიზაციის უფლებამოსილი პირის ხელმოწერით და ორგანიზაციის ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). (იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის სახით). თუ დოკუმენტის ორიგინალი გაცემულია უცხო ენაზე, აუცილებელია მისი ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ;

2) ფიზიკური პირის მხრიდან თანადაფინანსების შემთხვევაში ცნობა თანადაფინანსების შესახებ წარმოდგენილი უნდა იყოს ფონდის მიერ დამტკიცებული ფორმით, დამოწმებული თანადაფინანსებელი ფიზიკური პირის ხელმოწერით (იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის სახით). თუ დოკუმენტის ორიგინალი გაცემულია უცხო ენაზე, აუცილებელია მისი ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ;

ბ) საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის ფონდის კანცელარიაში კონკურსანტებმა უნდა წარმოადგინონ:

1) პროექტის წარმომდგენი იურიდიული და ფიზიკური პირების ერთობლივი „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ“ (გენერირდება GMUS-ით) დამოწმებული შესაბამისი ხელმოწერებითა და ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

2) განცხადებაზე უცხოეთის მოქალაქე ძირითადი პერსონალის ხელმოწერის არ არსებობის შემთხვევაში საჭიროა, განცხადებას თან ერთვოდეს აღნიშნული პირის თანხმობის წერილი, ორიგინალი ხელმოწერით და მისი ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ. თანხმობის წერილით უნდა დასტურდებოდეს, რომ იგი გაეცნო კონკურსის პირობებს და თანახმაა კონკურსში მონაწილეობაზე;

გ) საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების ლოტში ფიზიკურ პირებს, პროექტის ძირითადი პერსონალის სტატუსით, შეუძლიათ მხოლოდ ერთი პროექტის წარდგენა.

დ) საკონკურსო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ფონდის გენერალური დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული წესების, ფორმებისა და ვადების დაცვით.

ე) პროექტის სრულყოფილად წარმოდგენაზე პასუხისმგებელია პროექტის ხელმძღვანელი.

ვ) ფონდი უფლებამოსილია გამოითხოვოს კონკურსში მონაწილე პირებისაგან დამატებითი ინფორმაცია.

5. დამატებითი მოთხოვნები გრანტის მიმღებისათვის

ა) გრანტის მიმღები ვალდებულია წამყვანი/თანამონაწილე ორგანიზაციის სახელით შექმნას და ადმინისტრირება გაუწიოს პროექტის ვებგვერდს (ვებგვერდის შექმნა და ადმინისტრირება არ ფინანსდება ფონდის მიერ), ვებგვერდზე განათავსოს ინფორმაცია ღონისძიების შესახებ. ვებ გვერდზე უნდა განთავსდეს მინიმუმ შემდეგი ინფორმაცია - ღონისძიების ჩატარების ანონსი (ღონისძიების ჩატარების თარიღი, რეგისტრაციის ვადები და ა.შ) და ღონისძიების ჩატარების ამსახველი მასალები.

ბ) პროექტის დასრულების შემდგომ, სავალდებულოა სამეცნიერო ღონისძიების ვებგვერდზე ელექტრონული მასალის სახით აიტვირთოს სამეცნიერო ღონისძიების აბსტრაქტებისა ან/და მოხსენებების კრებული ქართულ და ინგლისურ ენაზე.

გ) ღონისძიების ვებგვერდზე და პროექტის ფარგლებში შექმნილ ვიზუალურ მასალაზე (ნაბეჭდი, ფოტო, აუდიო, ვიდეო, ელექტრონული პროდუქცია) სავალდებულოა განთავსდეს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ლოგო და მითითებული იყოს, რომ „პროექტი განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტის ნომერი ...]“ / „The project was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) [grant number ...]“.

დ) ფონდის თანამშრომლები უფლებამოსილნი არიან, დაესწრონ საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიების ნებისმიერ სექციას, გამოსვლას, ლექციას, გახსნის ან დახურვის ცერემონიას და ა.შ.

ე) ფონდი უფლებამოსილია გრანტის მიმღებთა მიერ წარდგენილი პროგრამული ანგარიშები, ბეჭდვითი ან/და ვიზუალური მასალები და ვებგვერდის მისამართი გამოიყენოს საკუთარი საქმიანობის ანგარიშში, ბეჭდვით და ელექტრონულ გამოცემებში, განათავსოს ფონდის ვებგვერდზე.

მუხლი 4. კონკურსზე რეგისტრაციის წესი

1. კონკურსში რეგისტრაცია ხორციელდება შემდეგი სახით:

ა) პროექტის რეგისტრაცია ელექტრონულ ბაზაში - <http://gmus.rustaveli.org.ge> – 2024 წლის 11 მარტიდან 29 მარტის 18:00 საათამდე;

ბ) ფონდის კანცელარიაში რეგისტრაცია - კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების წარდგენა ფონდის კანცელარიაში - 2024 წლის 5 აპრილის 18:00 საათამდე.

2. პროექტის ელექტრონული რეგისტრაცია გულისხმობს კონკურსის პირობებით გათვალისწინებულ ინფორმაციის შევსებასა და მოთხოვნილი დოკუმენტების ატვირთვას GMUS-ის შესაბამის ველებში. პროექტის ელექტრონული რეგისტრაციისათვის სავალდებულოა ფონდის გრანტების მართვის ერთიან

სისტემაში (GMUS-ში) დარეგისტრირებული იყოს პროექტის სუბიექტები - იურიდიული და ფიზიკური პირები: წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში), თანადამფინანსებელი ორგანიზაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ძირითადი პერსონალი, მათ შორის უცხოელი მეცნიერები.

ა) პროექტში ჩართული იურიდიული პირების რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტებია: სამართლებრივი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი, წესდება/დებულება. ა(ა)იპ-ისა და შპს-ის უსდ-ის შემთხვევაში ასევე საჭიროა ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (2024 წელს გაცემული);

ბ) პროექტში ჩართული ძირითადი პერსონალის რეგისტრაციისათვის საჭიროა ბიოგრაფიული მონაცემების შევსება და აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი საბუთების ატვირთვა GMUS-ში (დიპლომი, სერტიფიკატი ან დოქტორანტის/მაგისტრანტის/რეზიდენტის შემთხვევაში შესაბამისი ორგანიზაციის მიერ გაცემული ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ, 2024 წლის მდგომარეობით); საქართველოს მოქალაქე პირებისათვის, თუ აღნიშნული დოკუმენტი უცხოეთშია გაცემული, მას თან უნდა ერთვოდეს აღნიშნული დოკუმენტის ნამდვილობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ. საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში გაცემულ დოკუმენტს არ სჭირდება ქართული თარგმანი და აღიარება. ძირითადი პერსონალი პასუხისმგებელია წარმოდგენილი ინფორმაციის სიზუსტესა და სისრულეზე. უცხო ქვეყნის მოქალაქე ძირითადი პერსონალის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელ დოკუმენტს უნდა ახლდეს მისი ნამდვილობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან/და მისი აკადემიური ხარისხი უნდა დასტურდებოდეს იმ ინსტიტუციის ოფიციალური ვებგვერდით/ცნობით რომელშიც ის მოღვაწეობს. დოკუმენტები იტვირთება GMUS-ში, შესაბამისი პირის „მეცნიერის პროფილში“ „განათლების“ გრაფაში PDF დოკუმენტის სახით;

საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების შემთხვევაში საჭიროა სამეცნიერო კომიტეტის წევრების (პროექტის ძირითადი პერსონალი) აკადემიური ან/და სამეცნიერო თანამდებობის დამადასტურებელი ცნობის ატვირთვა (გაცემული შესაბამისი ორგანიზაციის მიერ, დადასტურებული შესაბამისი პასუხისმგებელი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) 2024 წლის მდგომარეობით, თუ დოკუმენტის ორიგინალი გაცემულია უცხო ენაზე, აუცილებელია მისი ქართული თარგმანი დამოწმებული თარგმანთა ბიუროს მიერ. დოკუმენტები იტვირთება GMUS-ში, შესაბამისი პირის „მეცნიერის პროფილში“ „დასაქმების ისტორიის“ გრაფაში PDF დოკუმენტის სახით;

3. ფონდის კანცელარიაში რეგისტრაციის ეტაპზე „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ“ (რომელიც დაგენერირდება GMUS-ით) შესაბამისად დამოწმებული პასუხისმგებელი პირების ხელმოწერებითა და ორგანიზაციის ბეჭდ(ებ)ით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ვადების დაცვით წარმოდგენილი უნდა იყოს ფონდის კანცელარიაში ამობეჭდილი სახით.

4. საკონკურსოდ განიხილება მხოლოდ ის პროექტი, რომელსაც გავლილი აქვს ელექტრონული რეგისტრაცია და ფონდის კანცელარიაში წარმოდგენილია „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ“ დადგენილი ვადებისა და წესების დაცვით.

მუხლი 5. კონკურსის ადმინისტრირება

1. კონკურსის ადმინისტრირების ეტაპებია:

ა) საგრანტო კონკურსის გამოცხადება;

ბ) პროექტების ელექტრონული რეგისტრაცია;

გ) ფონდის კანცელარიაში კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების წარდგენა;

დ) პროექტების ტექნიკური ექსპერტიზა - კონკურსში რეგისტრირებული პროექტების კონკურსის პირობებთან და მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

ე) შუალედური შედეგების გამოკვეყნება - ინფორმაცია კონკურსის პირობების დარღვევით წარმოდგენილი პროექტების მოხსნის შესახებ;

ვ) კონკურსის პირობების დაცვით წარმოდგენილი პროექტების შეფასება კომისიის მიერ;

ზ) გამარჯვებული პროექტების დამტკიცება;

თ) კონკურსის შედეგების გამოქვეყნება;

ი) საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმება.

2. ფონდი უფლებამოსილია საგრანტო კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე კონკურსიდან მოხსნას პროექტი, თუ:

ა) არ შეესაბამება კონკურსის მიზნებისათვის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 30 აგვისტოს №179/ნ ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებს ან ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებულ კონკურსის პირობებს;

ბ) კონკურსის პირობების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით და მე-3 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტები წარმოდგენილია არასრულად ან შეიცავს ყალბ ინფორმაციას, ან წარმოდგენილია დადგენილი ფორმებისა და ვადების დარღვევით.

მუხლი 6. პროექტების შეფასება

1. ფონდის გენერალური დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს კომისიას და ადგენს მისი მუშაობის წესს.

2. კონკურსის მოთხოვნებთან შესაბამისი რეგისტრირებული პროექტების შეფასების პროცედურა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 30 აგვისტოს №179/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად.

3. კომისია განიხილავს და აფასებს პროექტებს და ადგენს მათ რანჟირებულ სიებს.

4. თანაბარი ქულების პირობებში უპირატესობა მიენიჭება პროექტებს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონში (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიები) მცხოვრები საქართველოს მოქალაქე/პირადობის ნეიტრალური მოწმობის/ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე მეცნიერთა თანამონაწილეობით.

5. სამეცნიერო კვლევითი პროექტების შეფასებისას, თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება იმ პროექტს, რომელიც ჯამურად მაღალ ქულას დააგროვებს თანმიმდევრულად პირველ, შემდგომ მეორე და მესამე კრიტერიუმში. აღნიშნულ სამივე კრიტერიუმში თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება პროექტში ახალგაზრდა მეცნიერის ჩართულობას, ხოლო ამ კრიტერიუმითაც თანაბარი ქულების მქონე პროექტების შემთხვევაში კი ნაკლები ბიუჯეტის მქონე პროექტს. დაფინანსების მოსაპოვებლად აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა პროექტმა მიიღოს 11 ან მეტი ქულა.

გ) საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების ორ ან მეტ პროექტზე თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება იმ პროექტს, რომელიც მეტ ქულას დააგროვებს პროექტის შეფასების პირველ კრიტერიუმში – ღონისძიების სამეცნიერო ხარისხში, შემდეგ კი მეორე და მესამე კრიტერიუმში. აღნიშნულ სამივე კრიტერიუმში თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ნაკლები ბიუჯეტის მქონე პროექტს. დაფინანსებისთვის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა 32 და მეტი ქულა.

5. კომისია პროექტების შეფასებას ახდენს დამოუკიდებლად, მიუკერძოებლად, საკუთარი ცოდნისა და შეხედულებების შესაბამისად.

6. კომისია უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, დამატებით მოიწვიოს ექსპერტები.

7. ფონდი უზრუნველყოფს გამარჯვებული პროექტების გამოვლენასა და დამტკიცებას, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში, პროექტში ცვლილებების შეტანას.

მუხლი 7. საგრანტო ხელშეკრულება

1. დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცების შემდეგ ფონდი უზრუნველყოფს გრანტის მიმღებთან - პროექტებში მონაწილე ძირითად პერსონალთან და წამყვან და თანამონაწილე ორგანიზაციებთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში), საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმებას, რომელშიც დეტალურად გაიწერება ურთიერთვალდებულებათა პირობები.

2. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში გრანტის მიმღებმა ფონდის კანცელარიაში უნდა წარმოადგინოს:

1) წამყვანი და თანამონაწილე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორგანიზაციის მიზნობრივი ანგარიშის რეკვიზიტები - ამ პროექტისათვის გახსნილი ლარის საბანკო/სახაზინო ანგარიშის ნომერი, რომელზეც გამარჯვების შემთხვევაში ჩაირიცხება გრანტის თანხა და ცნობა ბანკიდან, რომ აღნიშნულ ანგარიშზე არ დაირიცხება სარგებელი;

2) ცნობა იმის შესახებ, რომ წამყვან და თანამონაწილე (ერთობლივი პროექტის შემთხვევაში) ორგანიზაციებს არ გააჩნია დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე;

3) თანადაფინანსების ცნობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორიგინალი - თუ ცნობის ორიგინალი უცხოენოვანია, მას თან უნდა ერთვოდეს ქართული თარგმანი დამოწმებული თარგმანთა ბიუროს მიერ.

3. საგრანტო ხელშეკრულება გაფორმდება კონკურსში გამარჯვებულებთან, რომლებიც წარმოადგენენ ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტებს.

4. საგრანტო ხელშეკრულებით განისაზღვრება პროექტით გათვალისწინებული კვლევის შედეგების ამსახველი მასალის წარმოდგენა.

5. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ სამეცნიერო კვლევითი პროექტის საგრანტო დაფინანსება გადაირიცხება ერთჯერადად პროექტის მიზნობრივ ანგარიშზე ავანსის სახით ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში. საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების შემთხვევაში გრანტის მიმღებს ავანსად გადაერიცხება პროექტის ბიუჯეტის ნაწილი (პროექტის ბიუჯეტის ფონდიდან მოთხოვნილი თანხა გარდა ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსებისა და დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურების 25%-სა), ხოლო საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება ფინანსური და პროგრამული ანგარიშების ფონდში წარდგენისა და ფონდის მიერ ანგარიშების განხილვის აქტის შედგენის საფუძველზე.

6. თანადაფინანსების არსებობის შემთხვევაში, ფონდი გადარიცხავს ტრანშს შესაბამისი პერიოდისთვის გათვალისწინებული თანადაფინანსების თანხის საგრანტო ანგარიშზე ჩარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის საფუძველზე. აღნიშნული დოკუმენტის წარმოუდგენლობის შემთხვევაში პროექტი შეჩერდება.

7. გამარჯვებული პროექტის ხელმძღვანელის ან ძირითადი პერსონალის წევრების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ განსაკუთრებული შემთხვევების დროს, არგუმენტირებული დასაბუთების საფუძველზე.

8. გრანტის მიმღებს ეკრძალება პროექტის ფარგლებში შექმნილ ნაწარმოებზე არსებული განსაკუთრებული უფლებების მთლიანად ან ნაწილობრივ ნებისმიერი ფორმით გადაცემა მესამე პირისათვის, ნაწარმოების შექმნიდან 5 წლის განმავლობაში, ფონდის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

9. ამ მუხლის მიზნებისთვის ტერმინ „ნაწარმოებში“ იგულისხმება წიგნი, მონოგრაფია, საგნობრივი ენციკლოპედია.

მუხლი 8. პროექტის შესრულების მონიტორინგი

1. გრანტის მიმღები ვალდებულია საანგარიშო პერიოდის ბოლოს ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული ფორმების შესაბამისად ფონდს წარუდგინოს პროექტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამული აქტივობებისა და გაწეული ხარჯების დოკუმენტირებული ანგარიში.

